კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი
კავკასიური სახლი
THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS
CAUCASIAN HOUSE

კონფლიქტები საქართველოში:
მიმდინარე ეტაპის თავისებურებები და ამოცანები

Foreign & Commonwealth Office

2015

სარჩევი

შესავალი 3
პოლიტიკური ფონი (BACKGROUND) 4
კონფლიქტების მართვა და კონფლიქტებით
დაზარალებული მოსახლეობის მხარდაჭერა 6
ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები 9
- რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას 9
- რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოებას. 11
- რეკომენდაციები საერთაშორისო თანამეგობრობას 12

პუბლიკაცია დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა
სამინისტროს „კონფლიქტის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით.

პუბლიკაციის შინაარსი არ გამოხატავს დიდი ბრიტანეთის მთავრობის აზრს.
პუბლიკაციის შინაარსი გამოხატავს ავტორთა პირად მოსაზრებებს.

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში ბევრი ისეთი რამ მოხდა, რაც პირდაპირ ან ირიბ გავლენას ახდენს კონფლიქტებზე საქართველოში. კარდინალური ცვლილებები შეინიშნება, როგორც საერთაშორისო, ასევე უშუალოდ ჩვენი რეგიონის დონეზე.

მიუხედავად საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის მათი ეგზისტენციალური მნიშვნელობისა, მოვლენების სიღრმისეული განხილვა არ მომხდარა არც ფართო საზოგადოებრივ, და არც საექსპერტო დონეზე; ხოლო თემისადმი მიძღვნილი დისკუსიები, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიზირების მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა და არ ტოვებდა სივრცეს მიუკერძოებელი ანალიზისათვის.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტისა“ და „კავკასიური სახლის“ ინიციატივით შეკრებილ ექსპერტთა ჯგუფის ნამუშევარს, რომელიც აანალიზებს საერთაშორისო და ადგილობრივ კონტექსტს საქართველოს კონფლიქტებთან მიმართებაში კონკრეტული, ახალი, ქმედითი ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით.

დოკუმენტში გაჟღერებული მიდგომები ევროინტეგრაციის შეუქცევადი პროცესის კონტექსტშია დანახული და, შესაბამისად, ორიენტირებულია ყველა მოქალაქის თავისუფლების, სამოქალაქო თანასწორობის, უსაფრთხოებისა და საერთო ევროპულ სივრცეში ინტეგრირების შესაძლებლობების პირობების შექმნაზე, მათ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე.

დოკუმენტის ადრესატია როგორც საქართველოს მთავრობა, ისე ქართული სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო თანამეგობრობა. მოსალოდნელია, რომ ამ დოკუმენტისადმი ინტერესს გამოიჩენენ როგორც საექსპერტო წრეები, ისე ფართო საზოგადოება, მათ შორის კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობა და პოლიტიკური ელიტები.

დოკუმენტის დანიშნულება არა მარტო შესაბამისი ადრესატებისათვის კონკრეტული რეკომენდაციების მიწოდებაა, არამედ ამ და კონფლიქტების მოგვარების სხვა საკითხების მიმართ ახლებური მიდგომებისა თუ ნაკლებად ყურადღებული საკითხების წინ წამოწევა და მათ ირგვლივ პროფესიული თუ საჯარო საზოგადოებრივი დისკუსიის ინიციირებაა.

პოლიტიკური ფონი (BACKGROUND)

2014 წელს უკრაინის მოვლენებმა ხელახლა წარმოაჩინა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის ნამდვილი მიზეზები. დადასტურდა, რომ ორივე შემთხვევაში (ამავე კონტექსტში მოლდოვაც მოიაზრება) რუსეთს ამოძრავებდა აღმოსავლეთ პარტნიორობის დაწინაურებული ქვეყნების ევროატლანტიკური მისაწრაფებების დაბლოკვის, მათი საკუთარი „პრივილეგირებული ინტერესების სფეროში" დაბრუნების სურვილი, რისთვისაც მან სამხედრო ძალას მიმართა. რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსიამ და აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტების დაუფარავმა მხარდაჭერამ უშუალოდ ევროკავშირის/ნატოს საზღვრების სიახლოვეს მასშტაბური სამხედრო კონფლიქტი გამოიწვია, რამაც მოარყია ცივი ომის დასრულების შემდგომ ფორმირებული ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურა და მისი ფუნდამენტის გამყარების აუცილებლობა დასავლეთის მთავარი საზრუნავი გახადა. ყოველივე ამან ერთგვარად გადაფარა საქართველოში არსებული კონფლიქტური რეგიონების პრობლემატიკა.

საქართველოსა და მის სეცესიურ რეგიონებში – აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში – კი ბევრი რამ საყურადღებო მოხდა 2008 წლის ომის შემდეგ. თბილისში, სოხუმსა და ცხინვალში შეიცვალა ხელისუფლებები, რამაც მეტი თუ ნაკლები დაღი დაატყო მათ პოლიტიკას. გასულ წელს შეიცვალა ხელმძღვანელობა ევროკავშირშიც, მათ შორის – აღმოსავლეთ პარტნიორობისა და სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებზე მომუშავე ოფისებში. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთის მიერ ოკუპაციის, იქ საკუთარი სამხედრო ბაზებისა და მესაზღვრეების განთავსების შედეგად გაიზარდა მილიტარიზაციის ხარისხი და, შესაბამისად, დესტაბილიზაციის საფრთხე სამხრეთ კავკასიაში. ე.წ. ბორდერიზაციის პროცესმა და გამყოფი ხაზების გადაკვეთის რეჟიმის გამკაცრებამ მკვეთრად გააუარესა კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები, შეიზღუდა რიგი მათი უფლებებისა; კიდევ უფრო გამოიკვეთა სეცესიურ რეგიონებში ეთნიკური ნიშნით ადამიანების დისკრიმინაციის პოლიტიკა. განვლილ წლებში შემცირდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის" ამღიარებელ სახელმწიფოთა რიცხვი (6-დან 4-მდე), სამაგიეროდ გაიზარდა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დევნილთა მდგომარეობის თაობაზე რეზოლუციის მხარდამჭერთა რაოდენობა.

საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების შეცვლამ კონფლიქტების მიმართ ოფიციალური თბილისის ზოგი მიდგომის კორექტირება მოიტანა. კონფრონტაციულმა რიტორიკამ რუსეთის მისამართით ადგილი დაუთმო უფრო თავშეკავებულს, გადაიდგა კეთილი ნების რამდენიმე ნაბიჯი რუსეთის მიმართულებით (მაგალითად – სოჭის ზამთრის ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და თამაშებში ქართველი სპორტსმენების მონაწილეობა), რასაც მოჰყვა შემხვედრი ნაბიჯები ქართული აგროსასურსათო პროდუქტების რუსეთის ბაზარზე დაბრუნებისა და ქვეყნებს შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის განახლების სახით. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მხარის ინიციატივით აღდგენილი ორმხრივი პოლიტიკური დიალოგი რუსეთთან (აბაშიძე-კარასინის ფორმატი) იმთავითვე ლიმიტირებულია რეალური შედეგიანობის თვალსაზრისით, გაჩნდა განცდა, თითქოს რუსეთის მხრიდან მორიგი სამხედრო ინტერვენციის რისკმა იკლო. თუმცა, ისევ და ისევ უკრაინის მოვლენები, ანტიდასავლურობაზე დაფუძნებული პუტინისეული რევანშიზმი და ექსპანსიონიზმი, აგრეთვე რუსული „რბილი ძალის" გააქტიურება საქართველოში იმას მოწმობს, რომ რუსეთი კვლავინდებურად რჩება მთავარ საფრთხედ საქართველოს სუვერენიტეტისთვის და მისი ევროატლანტიკური არჩევანისთვის.

კონფლიქტების მიმართ ოფიციალური თბილისის მიდგომის ცვლილება შეიმჩნევა სხვა თვალსაზრისითაც: განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან, რომელიც ფორმალურად აღიარებდა მხოლოდ ერთი – რუსეთთან – კონფლიქტის არსებობას, ხოლო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებას ამ ფუნდამენტური კონფლიქტის წარმოებულად მიიჩნევდა, ახალი ხელისუფლება აცნობიერებს, რომ საქმე აქვს ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებთანაც და ქართულ-აფახაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების პრობლემა ავტომატურად ვერ გადაიჭრება, რუსეთის ფაქტორი რომც გამოირიცხოს. ახალი ხელისუფლება დიფერენცირებულად უდგება კონფლიქტებს

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ესმის რა, რომ აფხაზთა და ოსთა ნაციონალური პროექტები განსხვავებულია: პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს სეპარატიზმთან, მეორეში – ირედენტიზმთან; განსხვავებულია სოხუმისა და ცხინვალის ადამიანური, პოლიტიკური და სხვა რესურსებიც.

ეს უკანასკნელი გარემოება, რომელიც საქმეში ღრმად ჩაუხედავი ადამიანების ყურადღების მიღმა რჩება ხოლმე, თვალნათლივ დადასტურდა რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“ და რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ ე.წ. ხელშეკრულებების დადების ეპოპეაში. მოსკოვიდან წამოსულმა მსგავსმა პროექტებმა ერთობ განსხვავებული ემოციები გამოიწვია სოხუმსა და ცხინვალში, განხილვის პროცესში მათ სხვადასხვა დოზით განიცადეს სახეცვლილება და, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებების არსი ეჭვს არ იწვევს – რუსეთს სრული კარტ-ბლანში აქვს როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში – ცხადია, რომ აფხაზობა ეპოტინება თუნდაც შეზღუდული სუვერენიტეტის ილუზიას, ხოლო ოსები საკუთარ მომავალს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ჩრდილო ოსეთთან შერწყმაში ხედავენ. შესაბამისად, თუკი სოხუმის „საგარეოპოლიტიკური“ აქტივობა შეინიშნება, მათ შორის – ევროპასთან საქმის დაჭერის ფრთხილ სურვილში (რათა ზედმეტად არ გააღიზიანონ რუსეთი), ცხინვალის შემთხვევაში ამის ნიშანწყალი უბრალოდ არ არსებობს.

საყურადღებოა, რომ ზემოხსენებული „ხელშეკრულებების“ გაფორმებით (და არა ყირიმის მსგავსი პირდაპირი ანექსიით, რასაც სამხრეთ ოსეთში, ყოველ შემთხვევაში, არამც თუ წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა, არამედ მიესალმებოდნენ კიდეც ასეთ გადაწყვეტილებას) რუსეთი ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ღიას ტოვებს კარს კონფლიქტის მხარეებს შორის პირდაპირი დიალოგისთვის და სადავო საკითხების ურთიერთმისაღებ საფუძველზე გადასაწყვეტად. სინამდვილეში ეს ერთ-ერთი ინსტრუმენტია რუსეთის რბილი ძალის არსენალიდან: მას სურს დაარწმუნოს ქართული საზოგადოება საერთაშორისო მონაწილეობით მიმდინარე ჟენევის დისკუსიების უპერსპექტივობაში და უბიძგოს მას უშუალოდ რუსეთის ეგიდით ქვეყნის გამთლიანების გზების ძიებისკენ. ეს კი სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა კონფლიქტების მოგვარების ილუზიის ფასად საქართველოს მოქცევას რუსეთის განუყოფელი გავლენის სფეროში, სადაც ყველაფერი „მოგვარდება“ისე, როგორც ეს მოსკოვს სურს.

ასე რომ არ იყოს, რუსეთის ფედერაცია კონსტრუქციულ კურსს გაატარებდა ჟენევის დისკუსიებში და ხელს შეუწყობდა აფხაზებსა და ოსებს ქართველებთან საერთო ენის გამონახვისკენ. ამის ნაცვლად, საქართველოსგან კვლავ ითხოვენ, რათა მან აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან გააფორმოს ხელშეკრულებები ძალის არგამოყენების თაობაზე მაშინ, როცა:

1. საქართველომ ცალმხრივად აიღო ამგვარი ვალდებულება პრეზიდენტისა და პარლამენტის დონეზე;

2. რუსეთი კატეგორიულად აცხადებს უარს საქართველოს მიმართ მსგავსი ვალდებულების აღებაზე;

3. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებისა და მათთან ჯერ 2008 წელს „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“, ახლა კი მოკავშირეობის შესახებ ე.წ. ხელშეკრულებების ხელმოწერის შემდეგ სავსებით ცხადია, რომ საქართველო არ წარმოადგენს სამხედრო საფრთხეს არც ერთი მათგანისთვის, ხოლო მათი ტერიტორიები რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს პლაცდარმად საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებისთვის, ან ვითარების დესტაბილიზაციისთვის.

საქართველოს ხელისუფლებას, როგორც ჩანს, გააზრებული აქვს ეს საფრთხეები და ის არ აპირებს მოუგვარებელი კონფლიქტების მძევლად აქციოს ქვეყანა. იმავდროულად, კონფლიქტების მოგვარების სფეროში ძველი თუ ახალი გამოწვევების შესატყვისი სტრატეგია ახალმა ხელისუფლებამ ვერ წარმოადგინა. 2010 წლის იანვარში მიღებული „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ“ და იმავე წლის ივლისში ამ სტრატეგიიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმაც არ

გადამუშავებულა; კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში (2012 წ.) მოცემულმა მონახაზმა განვითარება ვერ ჰპოვა; ვენეციის კომისიისა და ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში (მიღებულია 2008 წლის 23 ოქტომბერს) ცვლილებების შეტანის პროცესი პარლამენტში პირველი მოსმენის სტადიაზე გაჩერდა (2013 წლის მაისი). ეს მდგომარეობა შეიძლება გაკვირვებას იწვევდეს, რადგან კონფლიქტების, დევნილების, კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემატიკაზე მრავალი სახელმწიფო უწყება მუშაობს (იხ.ქვემოთ); სინამდვილეში კი საქმე პირიქითაა: სწორედ მრავალ უწყებას შორის ერთი და იგივე წარმომავლობის პრობლემატიკის გაფანტვას მივყავართ ამგვარ მდგომარეობამდე.

უკვე ხსენებულ გარემოებებთან (უკრაინის მოვლენები, ახალი ხელმძღვანელები ევროკავშირის ოფისებში), აგრეთვე რუსეთის კურსთან, სოხუმისა და, განსაკუთრებით, ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებების წინააღმდეგობასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლების ერთგვარმა ინერტულობამაც შეუწყო ხელი იმ ვითარებას, როცა ევროკავშირის „არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის“ მხოლოდ პირველი შემადგენელი მუშაობს მდგრარად და ეფექტიანად. მნიშვნელოვანი რესურსი კი სწორად აქაა – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებების ზიარება ევროპულ ღირებულებებთან და ცხოვრების წესთან, მცირე ერებისა და უმცირესობების უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტებით მათი დაინტერესება. თუკი საქართველოს ევროპეიზაციისა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი გაურკვეველი (ხანგრძლივი) ვადით დარჩებიან მონოპოლიურ რუსულ (ანტილიბერალურ) გარემოში, ეს მხოლოდ დამატებით პრობლემებს შეუქმნის ქართველებთან ურთიერთგაგების, ნდობის აღდგენისა და შერიგების სტრატეგიული ამოცანის გადაჭრას.

დასავლური ინსტიტუტებისა და ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობამ ქართული საზოგადოების ევროპეიზაციის მიმართულებით გამოიღო დადებითი შედეგები, რისი დასტურიც გახდა პარლამენტში ანტიდისკრიმინაციული კანონის ერთხმად მიღება (2014 წლის 2 მაისს). ნაციონალისტური და მილიტარისტული რიტორიკა ვერ ჰპოვებს სერიოზულ მხარდაჭერას ამომრჩევლებში; ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში კი პირიქით – სტაბილურად სარგებლობს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის კეთილგანწყობით. დაისადგურა აზრმა, რომ კონფლიქტების მოგვარებას დრო და კონსოლიდირებული ძალისხმევა ესაჭიროება და ეს ძალისხმევა მხოლოდ მშვიდობიანი შეიძლება იყოს. ამ განწყობების საპირისპიროდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კვლავინდებურად კულტივირებულია ქართველი მტრის ხატი, ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პროცესების თაობაზე ცალმხრივია (მხოლოდ ნეგატივი), დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დისკრედიტაცია მიზანმიმართულად ხორციელდება რუსული იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული მანქანის მეშვეობით, რომელსაც უკონკურენტო პოზიციები აქვს ადგილობრივ საინფორმაციო სივრცეში.

კონფლიქტების მართვა და კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის მხარდაჭერა

კონკრეტულად აფხაზეთში და ცხივალის რეგიონში კონფლიქტების მოგვარების, დევნილებისა და კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემატიკაზე კონცენტრირებულად და ყოველდღიურ რეჟიმში ორი – *შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატი* და *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო* მუშაობს. თუმცა, ხსენებული თემატიკით დაკავებულია დღეს არსებული 19 სამინისტროდან თითოეული. ასე, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №257 დადგენილებით შეიქმნა „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია“, რომლის შემადგენლობაში შედის *ყველა* სამინისტროს ერთი ან რამდენიმე წარმომადგენელი (თავმჯდომარე – რეგიონული განვითარებისა

და ინფრასტრუქტურის მინისტრი, თანათავმჯდომარე – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრი).

საქართველოს მთავრობის გარდა აფხაზეთის მიმართულებაზე მოქმედებენ:
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, სადაც შემდეგი კომისიებია:

– დეოკუპაციის, საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის;
– იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა;
– საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა დაცვის;
– საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა;
და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა შემდეგი შემადგენლობით:
– მთავრობის თავმჯდომარე;
– განათლებისა და კულტურის მინისტრი;
– ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი;
– დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე;
– ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;
– ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში მინისტრი;
– იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე;
– სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის თავმჯდომარე.
– აფხაზეთის მთავრობის რეგიონული წარმომადგენლობები.
სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მიმართულებაზე საქმიანობს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, რომლის სამოქმედო სფეროებია:
– განათლება;
– ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
– კულტურა და სპორტი;
– დევნილებთან ურთიერთობა.

ამასთან ერთად, ფუნქციონირებს ქურთის და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობები თბილისში და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა წეროვანში.

საქართველოს პარლამენტში მუშაობს *ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია* (შეიქმნა პარლამენტის 2004 წლის 25 ივნისის 253-რს დადგენილებით). მისი მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მოსაწესრიგებლად მიმართულ ღონისძიებათა კოორდინირება, მათ განხორციელებაზე საპარლამენტო კონტროლის დაწესება, სამშვიდობო პროცესისათვის ხელის შეწყობა და აღნიშნულ საკითხებზე შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტებისა და დასკვნების მომზადება, რეკომენდაციებისა და წარდგინებების შემუშავება.

კიდევ ერთი ავტონომიური უწყება, რომელიც დევნილთა და კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვაზე ზრუნავს, სახალხო დამცველია.

დევნილთა და კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემატიკაზე სხვადასხვა დოზით მუშაობენ აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებიც, განსაკუთრებით – გამყოფ ხაზებთან მიმდებარე რაიონებში.

და ბოლოს: კონფლიქტებთან დაკავშირებული თემატიკა არც ეროვნული უშიშროების საბჭოსა და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთვისაა უცხო.

არსებულ ვითარებაში, როცა ერთი წყების პრობლემებზე მრავალი უწყება მუშაობს, გარდაუ-

ვალია ფუნქციების დუბლირება, არასაკმარისი ოპერატიულობა გადაწყვეტილებების მიღებისას, ხარვეზები საკეთებელი საქმეების დაგეგმარებაში, პასუხისმგებლობის „გათქვეფა“.

საინფორმაციო-კომუნიკაციური უზრუნველყოფა. საკომუნიკაციო და საინფორმაციო პოლიტიკა ხელისუფლების ფუნქციონირების ერთ-ერთი უმთავრესი სფეროა, რომლის მეშვეობითაც მთავრობა ორმხრივ საკომუნიკაციო არხებს ამყარებს როგორც საკუთარი ქვეყნის საზოგადოებასთან, ისე გარე სამყაროსთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეფექტიან საკომუნიკაციო პოლიტიკას ისეთ მგრძნობიარე სფეროსთან დაკავშირებით, როგორიცაა კონფლიქტების მოგვარება (მართვა, ტრანსფორმაცია) და კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემები.

კონფლიქტებთან დაკავშირებული საკომუნიკაციო პოლიტიკის მიზნები მოიცავს როგორც ქვეყნის საზოგადოების – კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობის ჩათვლით – ისე ქვეყნის გარე აუდიტორიების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას მათთვის სანდო და ობიექტური ინფორმაციის მიწოდების, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ახსნა-განმარტებისა და არაობიექტური ინფორმაციული ნაკადების განეიტრალების გზით.

სათანადო პირობების შექმნის შემთხვევაში, სწორედ მას-მედიას შეუძლია ყველაზე ქმედითად შეცვალოს ჩვენს საზოგადოებებში თუ ქვეყნის გარეთ გავრცელებული ნეგატიური განწყობები და სტერეოტიპები, მათ სანაცვლოდ უფრო ადექვატური წარმოდგენების შეთავაზება. სამოქალაქო საზოგადოებას, მთავრობასა და მედიის ორგანიზაციების პროფესიონალებს შორის სტრატეგიული თანამშრომლობით შესაძლებელია საზოგადოებაში მთავრობის პოლიტიკური ხედვის მიმართ კონსტრუქციული დამოკიდებულების ჩამოყალიბება და საჯარო მსჯელობისა და საზოგადოების გათვითცნობიერების ხელშეწყობა.

სამოქალაქო საზოგადოება. ამჟამად კონფლიქტებთან დაკავშირებული ქართული სამოქალაქო დისკურსი გარკვეულწილად, მოლოდინის რეჟიმშია და თითქოს „თვალს არიდებს“ აშკარა პრობლემებს, ან სახელისუფლებო ინიციატივების მოლოდინშია. არადა, სხვადასხვა ფორმატის დიალოგში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება და დაგროვილი ანალიტიკური პოტენციალი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან არაორდინარული, თამამი იდეები და სამომავლო სტრატეგიულ მიზნებზე ორიენტირებული ინიციატივები გაჟღერდეს.

კონფლიქტის დარეგულირებისა და შერიგების, როგორც ამ პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტის, აუცილებელი პირობაა მეორე მხარის შიშების, მისწრაფებების, მიზნებისა და ინტერესების არსებობის აღიარება, უსაფრთხოების გარანტიების მათეული ინტერპრეტაციის გააზრება. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ განსხვავებული მისწრაფებებისა და აღქმების არსებობის აღიარება არ ნიშნავს მათ მიღებას, არამედ განიხილება მხარეებს შორის დიალოგის დაწყების წინაპირობად და საპირისპირო მისწრაფებების დაახლოების პროცესად.

იმისათვის, რომ მომავალი ურთიერთობებისათვის ნიადაგი შეიქმნას, საჭირო იქნება თითოეული მხარის განსხვავებული შეხედულებებისა და საჭიროებების დაბალანსებული გათვალისწინება, ასახვა და შეთანხმება პროცესებში ჩართული ყველა აქტორის მხრიდან.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მომავალი სტატუსი არის სრულიად უნიკალური და განსაკუთრებული გამოწვევა; მასზე ადექვატური პასუხი ურთიერთმისაღები მოდელის შემუშავების გზით კი ორივე მხარის ურთიერთობების გარკვეულ დონეს მოითხოვს.

ვერც შერიგებაზე ორიენტირებული კონფლიქტების დარეგულირების პოლიტიკა და ვერც ამ პოლიტიკის განხორციელების სავარაუდო შედეგები ვერ იქნება მდგრადი, თუკი შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროცესებში არ იქნებიან ჩართული კონფლიქტის ორივე მხარეს მყოფი სხვადასხვა ჯგუფები Multi-Track diplomacy თუ სხვა ტიპის პროცესების ფარგლებში. ამდენად, დევნილი საზოგადოების სამშვიდობო რესურსის გამოვლენა-გამოყენება და მათი გავლენის გაზრდა კონფლიქტებთან მიმართებაში პოლტიკის ფორმირების პროცესში, უმნიშვნელოვანესია.

სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ყველა ამ და სხვა მიდგომის რეალიზაცია მრავალშრიან კოორდინაციას და კომუნიკაციის ეფექტურ და მუდმივმოქმედ მექანიზმებს მოითხოვს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ სამოქალაქო საზოგადოების აქტორები საერთო სტრატეგიული ხედვების

ჩარჩოებში ოპერირებდნენ სამოქალაქო დიალოგების სხვადასხვა ფორმატებში, ხოლო შიდა ქართულ სივრცეში კი დიალოგისა და, საჭიროების შემთხვევაში, ოპონირების რეჟიმში იყვნენ როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე ერთმანეთთან.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას:

მიზანშეწონილია კონფლიქტების მოგვარების, დევნილთა და კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის მიმართულებაზე მუშაობის ოპტიმიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა სამინისტროებს/უწყებებს შორის ფუნქციების სწორი გადანაწილებისა და გამიჯვნის, დუბლირების გამორიცხვის, კოორდინაციის ხარისხის გაუმჯობესების გზით. ამ მიზნით შესწავლილ იქნას წინადადება *მთავრობაში ვიცე-პრემიერის რანგში „კონფლიქტებისა და დევნილთა საკითხების სახელმწიფო მინისტრის" (პირობითი სახელწოდება) პოსტის შემოღების შესახებ,* რომლის კურირების სფეროში თავმოყრილი იქნება ამ საკითხებთან დაკავშირებული მთელი პრობლემატიკა.

შემოთავაზებული წინადადების განხორციელება შესაძლებელს გახდის ერთ უწყებაში კონფლიქტებისა და მათი თანმდევი პრობლემატიკის თაობაზე არსებული ინფორმაციის თავმოყრას და ანალიზს, კონკრეტული ამოცანების კლასიფიკაციასა და სხვა უწყებებს შორის დავალებების განაწილებას, კოორდინაციის მაღალი დონის უზრუნველყოფას, ანგარიშგების სისტემის სრულფასოვნად ამოქმედებას (ვიცე-პრემიერის რანგი ამისთვისაა აუცილებელი). კონფლიქტებისა და დევნილთა საკითხების სახელმწიფო მინისტრის – ვიცე-პრემიერის აპარატთან შესაძლებელი იქნება შესაბამის პრობლემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მუდმივმოქმედი სტრუქტურის შექმნა, საკანონმდებლო და სხვა ინიციატივებისა თუ კონცეფციების მომზადება და ექსპერტიზა, ფართო საზოგადოებაზე ერთიანი პოზიციით საინფორმაციო გასვლისა და უკუკავშირის სისტემის ამოქმედება, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა. დევნილებსა და კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას ეცოდინება, თუ ვის მიმართოს საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად; რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უცხოელ პარტნიორებსაც ეცოდინებათ კონკრეტული მისამართი, სადაც შესაბამის თემატიკაზე ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეეძლებათ. ფაქტობრივად ეს იქნება „ერთი ფანჯრის" მიდგომის განვრცობა შესაბამის სფეროზე.

სავარაუდოდ, მთავრობაში ამგვარი პოსტის შემოღება ცალკეული უწყებების ფუნქციებში კორექტივების მეტად თუ ნაკლებად შეტანასა და რესტრუქტურიზაციას მოითხოვს, რის მოთხოვნილებაც, თუმცაღა, დრომ და რეალობამ მოიტანა.

ხელისუფლებამ უნდა შეიმუშავოს პრო-აქტიური, გრძელვადიანი საკომუნიკაციო-საინფორმაციო სტრატეგია, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი მიზნები და პრიორიტეტული სფეროები, ასევე მიზნობრივი აუდიტორიებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო უზრუნველყოფის არხები – დემოკრატიული სახელმწიფო მოწყობისა და სიტყვის თავისუფლების პირობებში. ყოველივე ზემოთქმულის მისაღწევად საჭირო ზოგიერთი საინფორმაციო არხი უკვე არსებობს და მზადაა გამოსაყენებლად, ზოგიც კი ხელახლა ან ახლიდანაა შესაქმნელი. უკანსკნელი პირველ რიგში ეხება რუსულენოვან ელექტრონულ მედიას, რომლის ფუნქციონირების აუცილებლობა დღეს მთელს დასავლეთში და დემოკრატიული ორიენტაციის სხვა ქვეყნებში აღიარებული აუცილებლობაა.

დღევანდელ ვითარებაში, როცა ინფორმაციული ზეწოლა საქართველოზე ჩრდილოეთიდან ხორციელდება, *აუცილებელია რუსულენოვანი ტელე(რადიო)არხის სასწრაფოდ შექმნა-ამოქმედება.* ამგავრი არხის ამოცანა არის პირველ რიგში აგრესიული რუსული პროპაგანდის განეიტრალება, რადგან მას დიდი ზიანის მოყენება ძალუძს ქართული სახელმწიფოებრიობისთვის. ასევე მნიშვნეოვანია კონფლიქტური რეგიონების მცხოვრებთათვის და მეზობელი ქვეყნების რუსულენოვანი აუდიტორიებისთვის (ჩრდილო კავკასიის ჩათვლით) ინფორმაციის ალტერნატიული წყაროს შექმნა, რომელიც

ადექვატურად ასახავს საქართველოს ცხოვრებას, მოახდენს ქართველის მტრის ხატის დემონტაჟს და მის ჩანცვლებას უფრო პოზიტიური და რეალობასთან დაახლოებული იმიჯით. შესაბამისი ტელე და რადიო პროგრამები უნდა მომზადდეს პროფესიულად, თანამედროვე სტანდარტების დონეზე, უნდა იყოს ესთეთიკურად მიმზიდველი, ხელმისაწვდომი, მათ შორის – ინტერნეტ-ვერსიის მეშვეობითაც, გააჩნდეს აუდიტორიასთან ეფექტური უკუკავშირის საშუალება. საქართველოს რეალობის ობიექტური ასახვის გარდა, არხმა უნდა ტაქტიანად, მაგრამ თანამიმდევრულად გაავრცელოს დემოკრატიული, ლიბერალური, დასავლური ფასეულობები, პლურალიზმი და ღიაობა. აუციებელია დასავლურ ინფორმაციულ საშუალებებთან მჭიდრო თანამშრომლობა როგორც პროგრამებისა და ინფორმაციის გაცვლის საწარმოებლად, ისე პროფესიული გამოცდილებისა და ნოუ-ჰაუს მოზიდვის მიზნით. ინფორმაციული და სასწავლო მასალების, ტრენინგ-პროგრამებისა და დიალოგისთვის საჭირო სივრცის უზრუნველყოფა წარმოადგენს მედიის პროფესიონალებთან მუშაობის პრაქტიკულ გზებს, რასაც დაეხმარება მედიის თეორეტიკოსებისა და ადმინისტრატორების საქმიანობაში ჩართვა და მათი მხარდაჭერა.

სტრატეგიული დოკუმენტების ადაპტირება და სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის გაზრდა. ახალი რეალობების გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დროულად უნდა მოხდეს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განახლება-გადახალისება და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის გაზრდა, განსაკუთრებით ჯანდაცვისა და განათლების მიმართულებით.

- ***აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოზიდვისა და მათთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილია მოხდეს არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირება და სპეციალური, საჭიროებებზე მორგებული შეთავაზებების შემუშავება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს სპეციალური მექანიზმები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები, ასევე გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე რეგიონების სტუდენტებისა და მოსწავლეების საერთაშორისო გაცვლით და სპეციალური გადამზადების პროგრამებში ჩართვის ხელშესაწყობად.***
- ***აუცილებელია ჯანდაცვის რეფერალური პროგრამის ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოქნილი, ადაპტირებული სისტემის შემუშავება. იმ ფონზე, როცა ადმინისტრაციული საზღვრის გადმოკვეთა დიდი სირთულეებთან არის დაკავშირებული, აუცილებელია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოხდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის როგორც მკურნალობის ხარჯების სრული დაფარვა, ასევე საჭიროების შემთვევაში, მკურნალობის პერიოდში პაციენტების საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ამის პარალელურად და ამასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ დევნილი და გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობისათვის ჯანდაცვის პროგრამების ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს მხრიდან იმავე ხარისხითა და ოდენობით იყოს უზრუნველყოფილი.***
- ***საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს და გააქტიუროს პარტნიორებთან დიალოგი „ჩართულობის“ პოლიტიკის მკაფიოდ განსაზღვრის მიზნით, რაც თავის მხრივ მოითხოვს თვით საქართველოს ხელისუფლებაშიც ამ პოლიტიკის ახალ რეალობაში გადააზრება-გადახალისება-ჩამოყალიბებას. ამ პროცესის დროს მნიშვნელოვანია მეტი მოქნილობის გამოყენება (მაგ. ტერმინოლოგიის, და ა.შ. მიმართულებით), რათა გაადვილდეს კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობის მხრიდან ამგვარი ინიციატივების მიმღებლობა საქართველოს სუვერენიტეტის დაცვის პრინციპების სრულად რეალიზების პირობებში.***

აუცილებელია *საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის ინტენსიფიკაცია გალისა და ახალგორის მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობისა და უსაფრთხოების კუთხით,* საერთაშორისო მედიაციის აქტივიზირება აფხაზურ და ოსურ ელიტებთან უშუალო დიალოგის ინიცირებისა თუ წარმოებისას. ასევე საჭიროა კონფლიქტურ რეგიონებში სოციალურ განვითარებაზე ორიენტირებული საერთაშორისო პროექტების – ტექნიკური დახმარების, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და სხვა სამუშაოს ხე-

ლშეწყობა, სახელმწიფო ინტერესებისა და ამ პროგრამებზე მთელი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, მათი ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.

გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა სპეციფიური რისკების ქვეშ იმყოფება, რაც განსაკუთრებით აქტუალურია სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე დასახლებების შემთხვევაში. პრობლემების უმრავლესობა უკავშირდება როგორც უსაფრთხოების საკითხსა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას, ასევე მძიმე სოციალურ ფონსა და მოწყვლადობას. მნიშვნელოვანია ამ რეგიონების განვითარების სპეციალური გეგმის შემუშავება და ქმედითი ინსტრუმენტალიზაცია გამყოფი ხაზის მეორე მხარეს დარჩენილი მოსახლეობის ნებაყოფილობითი და უსაფრთხო ჩართვის შესაძლებლობების რეალისტური მექანიზმებით. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება გამყოფი ხაზის მიმდებარედ კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას, უნდა ითვალისწინებდეს სპეციფიურ საჭირობებს, აღქმებსა და განწყობებს, რომელიც განსხვავებულია გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე თემებში და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორის ერთობლიობაზე (მაგ. წინა კონფლიქტის გამოცდილება, ადგილმდებარეობა, მიყენებული ზარალი, შერეული ოჯახები და ა.შ).

რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოებას

მნიშვნელოვანია კონფლიქტებისა და მათ შედეგად დაზარალებული მოსახლეობის პრობლემატიკაზე მომუშავე *სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტივობების კოორდინაცია და ინფორმაციის სისტემატურად გაცვლა-გამოცვლა;* მათ მიერ მომზადებული დოკუმენტების ხელმისაწვდომობისა და გავრცელების უზრუნველყოფა, მათ შორის – საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის;

მნიშვნელოვანია დაინტერესებული ორგანიზაციებისა და და ექსპერტების თანამშრომლობით *მომზადდეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან ჰარმონიზაციის პროექტი,* რომლის შეზღუდვები მიმართული იქნება ოკუპაციის ფაქტისა და არა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის წინააღმდეგ. ამ პროექტის რეალიზაცია უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანთა თავისუფლებას, უსაფრთხოებას, თანასწორუფლებიანობას, კეთილდღეობას, განვითარებას;

დაინტერესებული ორგანიზაციებისა და და ექსპერტების თანამშრომლობით მომზადდეს *სამგზავრო დოკუმეტების ალტერნატიული ვარიანტების პროექტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება* ევროპულ „ჩართულობის“ პოლიტიკას და მიმართული იქნება ამ რეგიონების მცხოვრებლების გადაადგილების თავისუფლების რეალიზაციისაკენ. ამის პარალელურად, დაიწყოს ფართო საზოგადოებრივი დისკუსია როგორც ამ პროექტების, ისე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვალიდურობის აღიარების საკითხის გარშემო.

რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“ და რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ ე.წ. ხელშეკრულებების დადების პროცესში გამოვლენილი რამდენიმე ჯგუფის კრიტიკული დამოკიდებულება ხელშეკრულებების ზოგიერთ პუნქტთან მიმართებაში იძლევა იმის საფუძველს, რომ ქართული სამოქალაქო და საექსპერტო საზოგადოებების მხრიდან მოხდეს *ალტერნატიული მიდგომების/კონცეფციების შემუშავება საქართველოს ევროპეიზაციისა და საერთო ევროპული მომავლისკენ სვლის კონტექსტში.* ეს განსაკუთრებით ეხება ევროპული „ჩართულობის“ კომპონენტის რეალური შინაარსით დატვირთვის ახალ შესაძლებლობებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცესთან მიერთებისა და ვიზების ლიბერალიზაციის პირობებში;

აუცილებელია დევნილ მოსახლეობაში არსებული სამშვიდობო პოტენციალის რეალისტური შეფასება და ამ პოტენციალის აქტიური გამოყენება სამოქალაქო დიპლომატიის სხვადასხვა ფორმატში, რათა დევნილებთან დაკავშირებული საკითხები ამ დიალოგების დღის წესრიგების მიღმა არ იყოს დარჩენილი;

დაიწყოს მსჯელობა იძულებით გადაადგილებულ პირთა, *დევნილთა, როგორც კონფლიქტებით დაზარალებული ერთ-ერთი ძირითადი ჯგუფის* მიმართ სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი პასუხისმგებლობისა და წარსულში მათ მიერ განცდილი ზარალის აღიარების მიზნით *მორალური და ფინანსური ერთჯერადი ხელშესახები კომპენსაციის_გაცემის ფორმებსა და შინაარსზე.* მსგავსი რეკომენდაციების მომზადება არსებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. აუცილებელია, რომ ეს კომპენსაცია დაბრუნების უფლების ალტერნატივად არ იყოს აღქმული. ამის პარალელურად და ამასთან ერთად, დაიწყოს *აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის მიერ განცდილი ზარალის აღიარების ფორმებზე* მსჯელობა და ამ მიზნით მორალური და ფინანსური ერთჯერადი ხელშესახები კომპენსაციის გაცემის ფორმებსა და შინაარსზე წინადადებების მომზადება არსებული საერთაშორისო პრაქტიკისა და ამ კომპენსაციის ადრესატისათვის მიწოდების ადექვატური ფორმების გათვალისწინებით; (კანონი რესტიტუციის შესახებ?)

დაიწყოს მსჯელობა საერთო წარსულის ხელახლა გასააზრებლად და შესაფასებლად, იმის მიუხედავად, თუ ვინ, რა დოზით და დროის რა მონაკვეთში არის პასუხისმგებელი გადაცდენებსა თუ შეცდომებზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი დაეფუძნოს კვალიფიციური აკადემიური კვლევის შედეგებს და წარიმართოს წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლო მექანიზმების მოძიებისა და მომავალში მათი გამორიცხვის მიზნით.

როგორც აფხაზურ, ასევე ოსურ საზოგადოებებში კულტივირებულია საქართველოს მხრიდან სამხედრო მოქმედებების განახლების შიში. ამიტომ შესაძლებელია სამოქალაქო ფორმატში ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მხარეებს შორის *ძალის არგამოყენების შესახებ ხელშეკრულების ტექსტის პროექტის მომზადება და შესაბამისი ორმხრივი დოკუმენტების გაფორმების პირობების შემუშავება* წინასწარი დათქმებით, რომელთა რეალიზება საერთაშორისო საზოგადოების მონიტორინგის პირობებში იქნება განხორციელებული.

რეკომენდაციები საერთაშორისო თანამეგობრობას

აუცილებელია *საერთაშორისო თანამეგობრობამ უფრო მეტი ძალისხმევა* გამოიჩინოს გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოახლეობის პრობლემებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების პრევენციისა და ე.წ. „ბორდერიზაციის“ შედეგებისა და გამყოფი ხაზის „უკანონო“ გადაკვეთისათვის ბრალდებით ადგილობრივების დაკავებების მინიმიზაციისათვის.

მნიშვნელოვანია *საერთაშორისო თანამეგობრობამ გააააქტიუროს არსებული ორმხრივი დიალოგების სხვადასხვა ფორმატების* – სამოქალაქო, პროფესიული, grass-roots და სხვა, მხარდაჭერა და ახალი, ინოვაციური ფორმატებისა თუ მიდგომების ინიცირებისა და რეალიზების ხელშეწყობა. *მნიშვნელოვანია Track 1,5 ფორმატების მხარდაჭერა* ამ ფორმატების რეალიზაციის სირთულეებისა და მყისიერი ეფექტის არქონის პირობებშიც კი, ვინაიდან გრძელვადიანი სტრატეგიული მიდგომების შემუშავება უპერსპექტივოა კონფლიქტის მხარეებთან დიალოგისა და საკომუნიკაციო არხების ჩამოყალიბების გარეშე.